საქმიანობის ბიულეტენი

ნოემბერი
2024



საქმიანობის ბიულეტენი

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

NO.6

შინაარსი:

გვერდი 4

პირველი სხდომა

გვერდი 9

კომიტეტების სხდომები

გვერდი 16

სხვა აქტივობები

გვერდი 22

საერთაშორისო ურთიერთობები

პლენარული სხდომა

ნოემბერი,2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა

26 ნოემბერი, 2024 წელი

აჭარის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა უსკოს თავმჯდომარემ - პარმენ ჯალაღონიამ გახსნა და სიტყვა, უმაღლესი საბჭოს უხუცეს წევრს, დავით თედორაძეს გადასცა, რომელიც სხდომას, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე გაუძღვა.

სხდომაზე, აირჩიეს დროებითი ხმის დამთვლელი და დროებითი სამანდატო კომისიები, რის შემდეგაც უსკოს თავმჯდომარემ წარმოადგინა ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით. პარმენ ჯალაღონიას განცხადებით, აჭარის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე 11 საარჩევნო სუბიექტიდან, კანონმდებლობით დადგენილი 5%-იანი ბარიერი გადალახა ხუთმა პარტიამ. ყველაზე მეტი - 13 მანდატი მიიღო „ქართულმა ოცნებამ“, 4 მანდატი აქვს - „ერთიანობა-ნაციონალურ მოძრაობას“, „გახარია საქართველოსთვის“ – 2, ,,კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროას'' და ,,ძლიერი საქართველო -ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის'' თითო-თითო მანდატი ერგოთ.

დოკუმენტაცია უსკოს თავმჯდომარემ დავით თედორაძეს გადასცა.

ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა

26 ნოემბერი, 2024 წელი

შესვენების შემდეგ, დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, ტიტე აროშიძემ უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესწავლის თაობაზე დასკვნა წარმოადგინა. დადგენილების შესაბამისი პროექტი 13 ხმით დამტკიცდა. სხდომათა დარბაზში აჟღერდა სახელმწიფო ჰიმნი.
მორიგი შესვენებისას იმსჯელეს ფრაქცია „ქართული ოცნების“ რეგისტრაციის, მისი წესდების, პოლიტიკური პლატფორმისა და ხელმძღვანელი პირების თაობაზე. ფრაქციას გოგი ფუტკარაძე უხელმძღვანელებს, მოადგილეები კი - მამუკა თურმანიძე და მინდია დიასამიძე იქნებიან. დროებითმა სამანდატო კომისიამ იმსჯელა ასევე, კომიტეტების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების თაობაზე. შესაბამისი ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს განახლებულ სხდომაზე, დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, ტიტე აროშიძემ წარმოადგინა.

კენჭისყრის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დავით გაბაიძის კანდიდატურა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გოგი ფუტკარაძემ, ფრაქციის სახელით წარადგინა. დავით გაბაიძემ მადლობა გადაუხადა ამომრჩეველსა და პოლიტიკურ გუნდს ნდობისა და მხარდაჭერისთვის, ისაუბრა გასულ წლებში გაწეულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

დავით გაბაიძის კანდიდატურას, ფარული კენჭისყრით, უმაღლესი საბჭოს 13-მა წევრმა დაუჭირა მხარი, რის შემდეგაც მან დარბაზში მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა.

ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა

26 ნოემბერი, 2024 წელი

დღესვე, კანონმდებლებმა, 13 ხმით აირჩიეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, დავით გაბაიძის მიერ საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი რამაზ ჯინჭარაძე.

სხდომაზე დაამტკიცეს დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, ტიტე არაშიძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, უმაღლესი საბჭოს კომიტეტების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ. კომიტეტებში წევრთა რაოდენობა 6-ით განისაზღვრა, აქედან, 4 კვოტა გადანაწილდა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებზე, 2 კი უმაღლესი საბჭოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებზე.

ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა

26 ნოემბერი, 2024 წელი

დადგენილების პროექტის დამტკიცების შემდეგ ღია კენჭისყრით აირჩიეს კომიტეტების თავმჯდომარეები:
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტს - ფრიდონ ფუტკარაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტს - ცოტნე ანანიძე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტს - დავით ბაციკაძე, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს - ტიტე არაშიძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს - მარინე გვიანიძე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს - ვახტანგ ბერიძე უხელმძღვანელებს.

კომიტეტის სხდომა

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა

8 ნოემბერი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტი და შესაბამისი, ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის - ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, მომავალი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 11% -ზე მეტით იზრდება და 850 მილიონ ლარს აჭარბებს.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების წარდგენის შემდეგ, მინისტრმა ისაუბრა მსხვილ საინვესტიციო პროექტებზე, პროგრამებსა და სიახლეებზე. მისი თქმით, ბიუჯეტი გაზრდილია ყველა მიმართულებით. ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება ინვესტიციების მოზიდვა და ტურიზმის ხელშეწყობა. დაგეგმილია, სამთო კურორტების - გომარდულის, გოდერძისა და მთა ჩირუხის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ხულო-თაგოს დამაკავშირებელი საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, მაჭახელას ეთნოსოფლის მე-2 ეტაპის სამშნებლო სამუშაოები, საჯარო სკოლების რებილიტაცია, სხვადასხვა სასკოლო ინვენტარით აღჭურვა, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების დაფინანსების ზრდა, მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება, წყლის სისტემებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, სოციალური სახლების მშენებლობა, გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, გაგრძელდება სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფა, ჯანდაცვის მიმართულებით არსებული და ახალი პროგრამებისა და ქვეპროგამების დაფინანსება, დასაქმების ხელშეწყობა, პროფესიული გადამზადება. მომავალი წლის ბიუეჯტში იზრდება, როგორც მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება, ასევე, მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერის ოდენობა.

მოხსენების შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.

კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს, საკითხზე, შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.
ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც კომიტეტების თავმჯდომარეები - ილია ვერძაძე და ცოტნე ანანიძე უძღვებოდნენ, განიხილეს და ცნობად მიიღეს, აჭარის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის - ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის მონაცემებით, ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა.

კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი განიხილეს

8 ნოემბერი, 2024 წელი

“აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განხილეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე. შესაბამისი მოხსენება, კანონმდებლებს, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარმოუდგინა.

რეგიონის ბიუჯეტი 85 400 000 ლარით იზრდება და 850 100 000 ლარს შეადგენს. მინისტრის განცხადებით, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა რეგიონში, ბოლო წლების ტენდენციაა და ქვეყანაში არსებული სტაბილური მდგომარეობით, სწორი ეკონომიკური პოლიტიკითაა განპირობებული. მისივე თქმით, საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსებასთან ერთად, იზრდება მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი სპეციალური ტრანსფერების მოცულობა.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტერების წარდგენის შემდეგ, ჯაბა ფუტკარაძემ ისაუბრა მსხვილ საინვესტიციო პროექტებზე, პროგრამებსა და სიახლეებზე. მისი თქმით, გაზრდილი ბიუჯეტი მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. დაგეგმილია, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, 25 სამიზნე ქვეყანაში ტურისტული ლოკაციებისა და პოტენციალის პოპულარიზაცია, განათლების სფეროს განვითარება - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, საფეხბურთო სტადიონების მშენებლობა-კეთილმოწყობა, ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლის, ოლიმპიადების, კონკურსების, ფესტივალების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება, ძეგლების რეაბილიტაცია, ბათუმის ბულვარში არსებული სკვერების, მოსასვენებელი თუ სხვა სპორტულ-გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა. გაგრძელდება მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება, წყლის სისტემის განვითარება, ეკომიგრანტების საცხოვრისით უზრუნველყოფა, „ოცნების ქალაქის“ მშენებლობა, მთის კურორტების განვითარება, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამები და სხვა.
მოხსენების შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.

კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს, საკითხზე, შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

15 ნოემბერი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტი და ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს. შესაბამისი მოხსენება ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები 850 100 000 ლარს შეადგენს, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 770 100 000 ლარია. საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 630 000 000 ლარით, ხოლო სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 25 100 000 ლარით განისაზღვრა.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების წარდგენის შემდეგ, მინისტრმა ისაუბრა რეგიონისთვის მნიშვნელოვან საინვესტიციო პროექტებზე, პროგრამებსა და დაგეგმილ სიახლეებზე. მოხსენების შემდეგ, უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.

კომიტეტმა, მხარი დაუჭირა, კანონპროექტსა და თანმხლებ პრიორიტეტების დოკუმენტზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

სხდომის დასასრულს, კომიტეტის თავმჯდომარემ, ლადო მგალობლიშვილმა მადლობა გადაუხადა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, აჭარის მთავრობას თორნიკე რიჟვაძის ხელმძღვანელობით, გასული 4 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვა. ასევე, თანამშრომლობისა და ნაყოფიერი საქმიანობისთვის, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დეპუტატებს, უმაღლესი საბჭოს აპარატს, მის ხელმძღვანელობას, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს, მასმედიასა და საზოგადოებასთა ურთიერთობის დეპარტამენტს.

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე

15 ნოემბერი, 2024 წელი

„რეგიონის მომავალი წლის ბიუჯეტი 11%-ზე მეტით იზრდება და 850 მილიონ ლარს აჭარბებს. ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ბოლო წლების ტენდენციაა, რაც ქვეყანაში არსებულმა სტაბილურმა მდგომარეობამ და სწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა“, - აღნიშნა უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მარინე გვიანიძემ, ამავე კომიტეტის სხდომაზე, მომავალი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვისას. კანონმდებლებს, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ''კანონპროექტისა და თანმდევი ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ, მოხსენება ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოუდგინა.

ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, გაგრძელდება რეგიონის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება. იზრდება, როგორც კაპიტალური ხარჯების, ასევე მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი სპეციალური ტრანსფერების მოცულობა. პროექტის თანახმად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება 12%-ით და შეადგენს 144 060 500 ლარს, 6%-იანი ზრდაა განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში, რომელიც 151 000 000 ლარით განისაზღვრა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 7%-ით იმატებს და 65 500 000 ლარია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი კი, 15%-იანი ზრდით - 36 820 500 ლარს შეადგენს.
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, მარინე გვიანიძის შეფასებით, მომავალი წლის ბიუჯეტი პასუხობს არსებულ გამოწვევებს, მასში გათვალისწინებულია რეგიონის მოსახლეობის ინტერესები და საჭიროებები. მისივე თქმით, კომიტეტის რეკომენდაციაა, სამომავლოდ, გენდერული ბიუჯეტირების ასპექტების ასახვა სხვადასხვა მიმართულებით.
კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტემა, მხარი დაუჭირა 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

სხდომაზე, მოისმინეს და ცნობად მიიღეს, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის თაობაზე. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტი, სამი კვარტლის მონაცემებით გადაჭარბებით შესრულდა.

კომიტეტმა, ასევე მოისმინა და ცნობად მიიღო, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' კანონპროექტის თაობაზე.

ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს კომიტეტების პირველ სხდომებზე ამავე კომიტეტების დებულებებზე იმსჯელეს

27 ნოემბერი, 2024 წელი

ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს კომიტეტების პირველი სხდომები გაიმართა. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო, აგრარულ და გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტებმა, ამავე კომიტეტების დებულებებზე იმსჯელეს.

კომიტეტების მიერ შემუშავებული პროექტები უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინება. დებულებებით განისაზღვრება კომიტეტების საქმიანობის მიმართულებები და უფლებამოსილებები, მუშაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები.

დებულების გარდა, უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებლობის შესახებ საკითხი განიხილეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტის თავმჯდომარის - ტიტე არაშიძის განცხადებით, შესაბამისი წერილები ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს ყველა წევრს გადაეგზავნება. კომიტეტმა შესაბამის გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირა მხარი.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის პირველი სხდომა

28 ნოემბერი, 2024 წელი

ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის პირველ საორგანიზაციო სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა, ამავე კომიტეტის დებულებაზე იმსჯელეს. პროექტი უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინება.

კანონმდებლებმა იმსჯელეს ასევე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტის განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე. კომიტეტმა მხარი დაუჭირა, წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი კანონპროექტის განხილვის პროცედურების გაგრძელებას და შესაბამისი ინფორმაციის ბიუროსთვის წარდგენას.

ორივე საკითხი, სხდომაზე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

შემოდგომა ქედაში - 2024

9 ნოემბერი, 2024 წელი

ქედის მუნიციპალიტეტში სახალხო ფესტივალი - „შემოდგომა ქედაში“ საზეიმოდ აღინიშნა. ადგილობრივებს დღესასწაული, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებმა - ტიტე არაშიძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, ილია ვერძაძემ, ნადიმ ვარშანიძემ, მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიულოცეს.

ღონისძიების ფარგლებში, ტრადიციულად, გამოვლინდნენ საპატიო ქედელები, ჯილდოები გადაეცათ ფოტოკონკურსის „ტურიზმი ქედაში“ გამარჯვებულებს, მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ქედის ღვინის მარნების მიერ წარმოდგენილი ღვინის დეგუსტაცია, ღვინის საწნახელში დაწურვის და ჭაჭის გამოხდის იმიტაცია, კულინარიული მასტერკლასები, გაიმართა სპორტული აქტივობები და საბავშვო პროგრამები.

ფესტივალი საზეიმო კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები და მოწვეული მუსიკალური ბენდები.

ძენწმანში კარტოფილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა

11 ნოემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანში, კარტოფილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს - ,, კაიფრი'' გახსნას დაესწრო.

საწარმო, რომელშიც ოცამდე ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდება, ორიენტირებული იქნება რეგიონში წარმოებული კარტოფილის მიღებაზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ფერმერებსა და აგრომეწარმეებს პროდუქციის რეალიზაციაში.

დავით გაბაიძემ მეცნიერ-თანამშრომლები დააჯილდოვა

13 ნოემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ, მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, ნოდარ კახიძეს, ოთარ თურმანიძესა და ნანული ნოღაიდელს მადლობის სიგელები გადასცა.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ, მეცნიერებს, მადლობა გადაუხადა მომავალი თაობის აღზრდაში, მეცნიერების სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და წარმატებები უსურვა.
მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის 2001 წელს, იუნესკოს მიერ დაფუძნდა და მსოფლიო მასშტაბით, ყოველწლიურად, ნოემბერში აღინიშნება.

ამ დღის დაარსებისა და აღნიშვნის მიზანია, გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას მეცნიერების როლი და მნიშვნელობა, მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია მეცნიერების განვითარების, არსებული სიახლეებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ყოველწლიურად იმართება - სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, დაჯილდოებები. ასევე, ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

7 წელი „ლეოგრანდის“ ტრაგედიიდან

24 ნოემბერი, 2024 წელი

„ლეოგრანდის“ ტრაგედიიდან 7 წელი გავიდა. ხანძრის დროს ტრაგიკულად დაღუპულები დღეს კიდევ ერთხელ გაიხსენეს.





ვახტანგ ბერიძე, ხულოში, დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების სალიკვიდაციო სამუშაოებს გაეცნო

28 ნოემბერი, 2024 წელი

„ხულოს მუნიციპალიტეტში ორი დღეა გადაუღებლად თოვს, რამაც გარკვეული პრობლემები გამოიწვია გზებზე, დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები. ყველა შესაბამისი სამსახური ჩართულია აღდგენით სამუშაოებში და უამინდობის გამო წარმოქმნილი პრობლემები მალე აღმოიფხვრება“, - განაცხადა, ხულოს დელეგატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში, ვახტანგ ბერიძემ, სალიკვიდაციო სამუშაოების დათვალიერებისას.

უმაღლესი საბჭოს წევრი, მაღალმთიან აჭარაში დიდთოვლობის შედეგად გამოწვეული პრობლემების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას, აჭარის მთავრობის აპარატის წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის საგზაო დეპარტმენტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად გაეცნო.

ხულოს მუნიციპალიტეტში, ინტენსიურ რეჟიმში იწმინდება ადმინისტრაციულ ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები. რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, "ენერგო-პრო ჯორჯიას" ტექნიკური სამსახური განაგრძობს მუშაობას დაზიანებული ქსელის აღსადგენად და ავარიული მონაკვეთების დროული ლიკვიდაციისთვის.
მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, აგრძელებს უწყვეტ რეჟიმში მუშაობას.
მოქმედებს ცხელი ხაზი - 551 00 32 40

საერთაშორისო ურთიერთობები

აჭარის სუპრემატური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

დავით გაბაიძემ აზერბაიჯანის გენერალურ კონსულს უმასპინძლა

1 ნოემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, აზერბაიჯანის გენერალურ კონსულს ქალაქ ბათუმში - ფარვიზ ისმაილზადეს უმასპინძლა, რომელმაც დიპლომატიური მისია ამოწურა.

გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე, დავით გაბაიძემ, მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანელ დიპლომატს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების საქმეში შეტანილი წვლილისთვის და წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა, საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებზე, რეგიონების დონეზე თანამშრომლობის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge